ხაშურის მოამბე

№28 (449) 29 ივლისი, ორშაბათი, 2024 წელი

ხაშურში იუსტიციის სახლი გაიხსნა

იუსტიციის სახლში ხაშურელებს მიეწოდებათ 500-მდე საზოგადოებრივი მომსახურება, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ხაშურის იუსტიციის სახლის გახსნის ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეს არის 121-ე იუსტიციის სახლი ქვეყნის

მასშტაბით, კონკრეტულად რეგიონში – მე-9 ფილიალი.

„ტრადიციულად, იუსტიციის სახლი ხაშურშიც გამოირჩევა არაჩვეულებრივი არქიტექტურით, დიზაინით. ეს შენობა მომსახურების მიწოდების დროს

შესთავაზებს სასიამოვნო გარემოს ხაშურელებს და, რაც მთავარია, იუსტიციის სახლში მათ მიეწოდებათ 500-მდე საზოგადოებრივი მომსახურება უმაღლეს დონეზე, რითაც გამოირჩევა, ზოგადად, იუსტიციის სახლები.

ეს არის 121-ე იუსტიციის სახლი ქვეყნის მასშტაბით, კონკრეტულად რეგიონში – მე-9 ფილიალი. იგეგმება ასევე დამატებით 10 იუსტიციის სახლის

გახსნა თერჯოლაში, ახმეტაში, საგარეჯოში, ხელვაჩაურში, ასევე თბილისში, გლდანში არის დაგეგმილი იუსტიციის სახლის გახსნა და სოფლებში - ჭალა, ზოტი, ტოლები, შროშა და ცაისი. გრძელდება ეს სამუშაოები იმისთვის, რომ მთელი ქვეყანა იყოს დაფარული შესაბამისი საზოგადოებრივი მომსახურებით.

500-მდე საზოგადოებრივი მომსახურება მიეწოდებათ მოქალაქეებს

იუსტიციის სახლებში, აქედან არის 30-ზე მეტი კერძო მომსახურება. იუსტიციის სახლი არის ერთადერთი სივრცე, სადაც ერთმანეთთან შერწყმულია საჯარო და კერძო სერვისები", - განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, სამინისტროს თანამშრომლებს, ხაშურის იუსტიციის სახლის მშენებლობასა და იუსტიციის სახლების პროექტების განხორციელებაში ჩართულ ყველა პირს მადლობა გადაუხადა.

ხაშურის იუსტიციის სახლის გახსნაზე მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ.

ღონისძიებას პარლამენტისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ 2024 წლის 6 თვეში შესრულებული საქმიანობის ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ, მოქმედი კანონმდებლობისა და დებულების შესაბამისად, გატარებულია რიგი ღონისძიებები და პროცედურები.

2024 წლის 6 თვეში - წიაღის ეროვნული სააგენტოდან, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე, შემოსულია 34 მომართვა, თანხმობა-17, უარი-4, 13 მომართვა მოკვლევაშია. მოქალაქეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მოთხოვნათა ელექტრონულ ბაზაში შეყვანილია - 29 ბენეფიციარი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით, კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არა იზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის შესაბამისად მომზადდა თანხმობის 1 პროექტი. 1 პროექტს ეთქვა უარი.

ყოველი წლის არა უგვიანეს თებერვლამდე, საკრებულოს სხდომაზე, ვიღებთ ახალ დადგენილებას „ხაშურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

2024 წლის 6 თვეში -ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ- მოძრავი ქონება სარგებლობაში, საკუთრებაში და იჯარის ფორმით გადაეცა შემდეგ ა(ა)იპ-ს და სსიპ-ებს:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა სურამში მდებარე 12575კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (69.04.59.034) 32 კვ.მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში, შემდგომში მისი შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კაპიტალში შეტანის მიზნით.

2. სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო“-ს გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა სურამში მდებარე (ს/კ 69.04.59.785) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, უსასყიდლო უზუფრუქტით, სარგებლობის უფლებით, ახალი ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურების განთავსებისთვის.

3.ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირის გადაეცა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონება (ს.კ 69.08.67.985) უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით 2 წლის ვადით.

4. სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალებები გადეცა ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“–ს (ს/კ 443856908) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით.

5. მოქალაქე ჯიმშერ ხაჩიძეს, დროებით სარგებლობაში (ერთი თვით), იჯარის ფორმით, ატრაქციონების განსათავსებლად გადაეცა, ხაშურში ტაბიძის ქუჩაზე მდებარე (ს/კ 69.08.59.780) უძრავი ქონებიდან (დასასვენებელი პარკი) 126კვ.მ. ფართი.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, დამატებითი ქონების სახით გადმოგვეცა შემდეგი უძრავი ქონება:

1. ს/კ 69.08.60.743 - ხაშურში, ბორჯომის ქუჩის მიმდებარედ, სპორტული და დასასვენებელი სივრცის მოწყობის მიზნით.

2. ს/კ 69.08.58.477- ხაშურში, 9 აპრილის ქუჩის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება.

3. ს/კ 69.06.60.929 -ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვიშხეთი, ნინო ყიფიანის ხეივანი №16.

განახლების პროცესშია საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემი ობიექტების ნუსხა და დოკუმენტაციის შესაბამისი პაკეტი, რომელთა გაცემა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით განხორციელდება ელექტრონული აუქციონის წესით. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში სულ შეტანილია 15 ობიექტი, ასევე, დაინტერესებული პირების მომართვის საფუძველზე, მიმდინარეობს საპრივატიზებოდ მიმზიდველი უძრავი ქონების შერჩევა-შეფასების პროცესი.

დაწყებულია საქმისწარმოება:

„სსიპ- ვაჟა-ფშაველას სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოცხნარის საჯარო სკოლისთვის“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა.

„სსიპ- სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსთვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების, სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით გადაცემის შესახებ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ გომში, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე მდებარე უძრავი ქონებიდან (საკადასტო კოდი: 69.02.65.022.059) ნაწილი 64,4 კვ.მ ფართის იჯარის ფორმით გადაცემა, 2 წლის ვადით, ელექტრონული აუქციონის წესით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ ეტაპობრივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია.

ავთანდილ ტაბატაძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და
მართვის განყოფილების ხელმძღვანელი

ა(ა)ი.პ ``ხაშურსერვისის" ანგარიში 2024 წლის 6 თვეში საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლებისა და გაწეული საქმიანობის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების მოვლა-პატრონობის და სასაფლაოს მოწყობისა და მოვლის-პატრონობის ღონისძიებების პროგრამის განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2024 წლისათვის გამოიყო 2 052 818 ლარის სუფსიდია.(დაფინანსება).

		ხელფასი	*საქონელი და მომსახურება*	*სულ საფინანსება*
1	*დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები*	*839240*	*464071*	*1303311*
2	*ხაშურის მუნიციპალიტეტის გარე განათება*	*102061*	*233107*	*335168*
3	*ხაშურის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობა*	*178378*	*168238*	*346616*
4	*სასაფლაოს მოვლა-პატრონობისა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა*	*38043*	*29680*	*67723*
	ჯამი	*1 157 722*	*895 095*	*2 052 818*

2024 წლის ექვს თვეში დანახარჯთა გეგმით გათვალისწინებული იყო 1 169 011 ლარის ხარჯი. მათ შორის საქონელი და მომსახურების მუხლში 590150 ლარი, ხოლო ხელფასის მუხლში 578861 ლარი. ფაქტობრივად, გახარჯული იქნა ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 1 024 152,39 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან გაიხარჯა 29705,85 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ექვს თვეში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიღებული იქნა 1 024 152,39 ლარი, ხოლო საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 62571 ლარმა.

ექვს თვეში შეძენილი იქნა 68702 ლიტრი დიზელის საწვავი თანხით 191215,9 ლარი. ქვიშა-ხრეში 532 კბმ, თანხით 10640 ლარი. ბენზინი 5026 ლიტრი, თანხით -13380 ლარი. ელექტროსაქონელი 49865 ლარის. შეძენილი იქნა ავტოტრანსპორტის ზეთები-3335 ლიტრი 23287,25 ლარის ასევე შეძენილი იქნა 42700 ლარის სათადარიგო ნაწილები. ხელფასის სახით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიცა გაცემული იქნა 602100,37 ლარი, საკუთარი შემოსავლებიდან, გარე განათების მუშებზე, საახალწლო განათების მოწყობის სამუშაოებზე ხელფასის დანამატი 6224 ლარი, მესაფლავეებზე, მიცვალებულის საფლავის გაჭრა-ამოვსებაზე, გაცემული იქნა-1757,7 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანამშრომლებზე გავეცით ხელფასზე დანამატის (პრემიის) სახით 40884 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების პროგრამის განხორციელებისათვის, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 1 303 311 ლარი, საიდანც ხელფასის ფონდი შეადგენს 839 240 ლარს, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი განისაზღვრა 464071 ლარით. დასუფთავებისპროგრამისშესრულებაზედასაქმებულია125თანამშრომელი. ერთი მენეჯერი, 5 სპეციალისტი, 4 მუშა-ბრიგადირი, 38 მეეზოვე, 32 მუშა, 22 დასუფთავების ქვითრების დამრიგებელი, 6 დამლაგებელი, 13 მძღოლი. დასუფთავების პროგრამის შესასრულებლად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 1100 ლიტრიანი 796 ცალი ნაგვის კონტეინერი (298 ცალი პლასტმასი, 498 ცალი რკინის) , მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა დასახლებულ პუნქტზე სანაგვე კონტეინერების სრულად განთავსებისათვის საჭიროა შეძენილი იქნას სულ მცირე 1000 ცალი სანაგვე კონტეინერი. საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტრანსპორტირებაზე გამოიყენება ექვსი ერთეული ნაგავშემკრები სპეცტექნიკა და ხუთი სატვირთო ავტომანქანა. მიღებული იქნა სამი ერთეული ნაგავშემკრები სპეციალური ავტომანქანა, ერთი ერთეული სპეცავტომანქანა ამწე კალათი და ერთი ერთეული ექსკავატორ დამტვირთი, რომლებისთვისაც საჭიროა მძღოლებითა და მუშებით დაკომპლექტება და მათი სახელფასო ფონდის გამოყოფა. ყოველდღიურად ქ.ხაშურში იგვება 48100 მ 2 , ხოლო დაბა სურამში 15500 მ 2 ფართი. თვეში ერთხელ ვახორციელებთ ქ.ხაშურში და

(დასასრული III გვერდზე)

ა(ა)ი.პ ``ხაშურსერვისის" ანგარიში 2024 წლის 6 თვეში საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლებისა და გაწეული საქმიანობის შესახებ

(დასასრული)

დაბა სურამში საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება -გაწმენდას 638000 მ 2- ზე. ხაშურის ნაგავსაყრელზე გატანილი იქნა 83669 მ 3 საყოფაცხოვრებო ნარჩენი. 2024 წელს დასუფთავების მუშების ყოველთვიური ხელფასი დარიცხვით შეადგენს 690,25 ლარს. მეეზოვეებსა და დასუფთავების ქვითრის დამრიგებლების ყოველთვიური ხელფასი დარიცხვით შეადგენს 425,7 ლარს, მძღოლების ხელფასი -682 ლარს. 2024 წლის ექვს თვეში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასუფთავების პროგრამის შესასრულებლად მიღებული იქნა 631236,95 ლარი . საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული იქნა 59026 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში გარე განათების სისტემის მოვლა- შენახვასა და რეაბილიტაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 2024 წლის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის, გამოყოფილია 335168 ლარი.საიდანაც ხელფასის ფონდი შეადგენს 102061 ლარს,ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი განისაზღვრა 233107 ლარით. გარე განათების ელექტრო ხაზების სიგრძეა 405325 მეტრი. ელექტრო სადენების ბოძები განლაგებულია ყოველ 35 მეტრში და სულ აღირიცხება 11581 ელექტრო საყრდენი ბოძი და ამდენივე სანათი. 11581 ელექტროსაყრდენი ბოძიდან 10933 ბოძი არის ელქსელების საკუთრებაში, ხოლო 648 ბოძი მუნიციპალიტეტის საკუთრებაა. გარე განათების 11581 სანათიდან 3000 არის დიოდური სანათი, ხოლო დანარჩენი 8581 სანათი არის ჩვეულებრივი ვარვარა ნათურები. გარე განათების სისტემის მოვლა-შენახვასა და რეაბილიტაციაზე დასაქმებულია ცხრა თანამშრომელი: ერთი მენეჯერი. ერთი ბრიგადირი, ხუთი ელექტრიკოსი ორი მძღოლი , რომლებიც ემსახურებიან ორ სპეცავტომანქანას (ამწეკალათსს)

2024 წელს ექვს თვეში , გარე განათების მოვლა-პატრონობისათვის, საჭირო მასალების შესაძენად ჩატარდა ორი ელექტრონული ტენდერი თანხით 46865 ლარი. შეძენილი იქნა სხვადასხვა ამპერისა და ტიპის ნათურა და სხვადასხა სახის ელექტრო საქონელი, რომლებიც გამოყენებული იქნა მუნიციპალიტეტის დასახლებებში არსებული გარე განათების სისტემის მოვლა-შენახვის სამუშაოების შესასრულებლად. 2024 წლის ექვს თვეში, გარე განათების მოვლა შენახვასა და რეაბილიტაციაზე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიხარჯა 107367,87 ლარი, საკუთარი შემოსავლებიდან მასალების შეძენაზე გაიხარჯა 46865 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობაზე, 2024 წელს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 346616 ლარი, შიდა გზების მოვლა -პატრონობაზე დასაქმებულია ექვსი თანამშრომელი: ერთი მენეჯერი, ერთი გზის ინჟინერი, ოთხი მექანიზატორი, სამი ერთეული საგზაო ტექნიკა: გზის გრეიდერი, ექსკავატორ-დამტვირთი და მუხლუხიანი ტრაქტორი. ტენდერზე შეძენილი იქნა 532 კბმ ღორღი, რომელიც გამოყენებული იქნა მუნიციპალიტეტის შიდა გზების შეკეთებაზე. 2024 წელის ექვს თვეში, შიდა გზების მოვლა-პატრონობისათვის, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული იქნა 199504,56 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან გახარჯული იქნა 800 ლარი.

მუნიციპალიტეტის დასახლებაში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებებზე 2024 წლისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოყო 67723 ლარი. (ხელფასისათვის - 38043 ლარი, საქონელი და მომსახურებისათვის - 29680 ლარი) 2024 წელის ექვს თვეში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული იქნა 16897,34 ლარი. ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან მიღებულმა თანხამ შეადგინა 3215 ლარი.

ზ. ნოზაძე,
ა(ა)ი.პ `ხაშურსერვისის~
დირექტორი

ხაშურელი ახალგაზრდები - ინოვაციების ბანაკში

კასპის ტექნოპარკის ორგანიზებით, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დაფინანსებით კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტების მერიების თანადაფინანსებით, შიდა ქართლის რეგიონის ინოვაციების ბანაკი TECHSKILLS BOOTCAMP 2024 ტარდება.

მონაწილეების შერჩევა, კონკურსის საფუძველზე განხორციელდა.

ბანაკში წამსვლელ ახალგაზრდებს, კონკურსში გამარჯვება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, კულტურის სამსახურის უფროსმა კონსტანტინე ფრუიძემ და მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის წარმომადგენლებმა.

ორგანიზატორების განმარტებით, ბაკურიანის 5 დღიანი ბანაკი მოიცავს Web/Mobile Development მიმართულებით ინტენსიურ ტრენინგ კურსებს და ვორქშოპებს.

ცხრამუხაში შიდასასოფლო გზების რეაბილიტაცია აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს

უკვე დასრულდა შიდა გზების მოასფალტების სამუშაოები ხმალაძეების უბანში და მიმდინარეობს მიმდებარე უბნებში გზების მოასფალტება.

სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი.

საგზაო სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტის ღირებულება ჯამში 1 342 861 ლარს შეადგენს.

იწმინდება მდინარე სურამულა

მდინარე იწმინდება სხვადასხვა სახის ნარჩენისგან, ლამისგან, ლაქაშისგან, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან. ეს არის კომპლექსური ღონისძიება, რაც მნიშვნელოვანია, როგორც სტიქიის პრევენციისთვის, ასევე ეკოლოგიური თვალსაზრისით.

სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი.

სამუშაოები მთლიანად მუნიციპალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 171 935 ლარს შეადგენს.

100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2024წ.#19,20,21,22,23,24,25, 26,27)

იმავე დღეს დაიკეტა ზემო ჭალის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია.

ღიმილს იწვევს იოანე ნათლისმცემელის ეკლესიის თავს დატრიალებული მოვლენები. როგორც არ უნდა გაგვიკვირდეს მას სახელი ჩამოართვა ახალმა ხელისუფლებამ და ახალი სახელი - ,,კარლ ლიბნეკტის სახელობის კლუბი“ ეწოდა. ახალ ცხოვრებას ახალი სახელები მოაქვს.

,,ხაშურის დეპოს ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის უჯრედის საერთო კრებამ მიიღო შეფობა ,,კარლ ლიბკნეხტის“ სახელობის კლუბზე, რომელიც არსებობს ქ. ხაშურში. კრებამ ერთხმად დაადგინა, კლუბს შესწიროს ერთი დღის ჯამაგირი ყოველთვიურად. კიდევ მეტ დახმარებას გაუწევენ ახალგაზრდა მუშები თავიანთ კლუბს“.

1923 წლის 14 ივნისს ხაშურის რაიონის აღმასკომმა განიხილა ხაშურის ეკლესიების კლუბებად გადაკეთების საკითხი. დადგენილებაში ჩაიწერა: ,,ხაშურის დიდი ეკლესია გადაკეთებული იქმნეს კარლ ლიბკნეხტის სახელობის კლუბათ და ყოფილი კლუბის ინვენტარი გამოყენებული ახალი კლუბის საჭიროებისათვის“.

აღმასკომმა საკითხის ,,მოკლე ხნის განმავლობაში“ სისრულეში მოსაყვანად შექმნა სამკაციანი კომისია.

რკინიგზის ეკლესიის შენობა რკინიგზის პროფკავშირებს გადაეცა. ამის შესახებ 1923 წლის 17 აპრილს გაზეთი ,,კომუნისტი” წერდა: ,,აგერ სამი თვეა, რაც ხაშურის რკინიგზის მუშებმა გამოიტანეს დადგენილება ერთხმად სად. ხაშურის ეკლესიის რკინიგზის უბნის პროფესიონალურ კავშირის კულტურულ განყოფილებაზე გადაცემის შესახებ.”

1923 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პროკურატურის განყოფილება გორის მაზრის აღმასკომს უგზავნის წერილს ხაშურის, წრომის, ნადარბაზევის და ვაკეპანტების მცხოვრებთა განცხადებებითურთ ადგილებზე ეკლესიების გახსნის შესახებ (საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იანი წლები), დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ.2013, გვ.225). იმავე წლის 3 ნოემბერს საქართველოს კპ ცკ-თან არსებულმა საეკლესიო საქმეთა კომისიამ განიხილა გორის მაზრის აღმასკომის შუამდგომლობა ქალაქ ხაშურში ეკლესიის, რომელიც გადაკეთებულია კარლ ლიბკნეხტის კლუბად, დაუბრუნებლობის შესახებ და მიიღო დადგენილება მისი დაკმაყოფილებისა.

1924 წლის 15 თებერვალს აღმასკომი ამტკიცებს კომკავშირის პრეზიდიუმის დადგენილებას ხაშურის ეკლესიის გუმბათის მოხსნის თაობაზე. ,,უკანასკნელი წინადადება მიეცეს კომუნალურ განყოფილებას, რათა დიდი ეკლესიის გუმბათი იქნეს მოხსნილი საჩქაროდ,” (იქვე)–აღნიშნულია დადგენილებაში.

ზემო ჭალის ეკლესია ამავე პერიოდში გადააკეთეს კლუბად. 1924 წლის 22 მარტს აღმასკომის დადგენილებით ჭალის ეკლესიაში მოწყობილი კლუბი გადაეცა ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს. როგორც ჩანს, მოსახლეობაში გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევდა ხელისუფლების მხრიდან ეკლესიების ხელაღებით დახურვა და კლუბებად გადაკეთება. ეს მაშინ ერთგვარი გამბედაობაც იყო. თუ რას ნიშნავდა ეს, კარგად ჩანს ზემო ჭალის ეკლესიის მაგალითიდანაც.

1924 წლის 12 აპრილს აღმასკომმა განიხილა ზემო ჭალის საბჭოს წევრების კოლია ჩიტაძის, გიორგი არბოლიშვილის და პავლე ჩაჩანიძის საკითხი. მათ ბრალდებოდათ ,,...აგიტაციის გაწევა-წინააღმდეგობა ჭალის ეკლესიის კლუბათ გადაკეთების შესახებ“. საკითხის განხილვის ინიციატორებად ჭალელი კომკავშირლები გვევლინებოდნენ, რომლებიც მოითხოვდნენ ,,ბოროტმოქმედების ჩადენისთვის“ ზემოთ ჩამოთვლილი პირების პასუხისმგებლობაში მიცემას.

აღმასკომმაც არ დააყოვნა და დააკმაყოფილა ,,ჭალის კომკავშირლების განცხადება“. დადგენილებაში ვკითხულობთ: ,,...მოხსნილ იქნენ საბჭოს წევრობიდან საბჭოს წევრი ჩიტაძე კოლია, არბოლიშვილი გიორგი და ჩაჩანიძე პავლე, როგორც გულგრილნი, შეუფერებელნი და პროვოკატორები. ჩამოერთვათ მათ მანდატები და ეცნობოს სოფელს, რომ იგინი მოხსნილნი არიან საბჭოს წევრობიდან. როგორც ასეთებს გამოეცხადოთ ზიზღი და საქმე მთელი წარმოებით გადაეცეს სახალხო სასამართლოს სათანადო მსჯავრის დასადებათ”.

1923 წლის 17 აპრილს გაზეთი ,,კომუნისტი“ აქვეყნებს პ. ბოკერიას წერილს, რომელშიც ავტორი ხაშურის რაიონში შექმნილ საერთო მდგომარეობაზე წერს: ,აგერ სამი თვეა, რაც ხაშურის რკინის გზის მუშებმა გამოიტანეს დადგენილება ერთხმად სადგურ ხაშურის ეკლესიის რკინიგზის უბნის პროფესიონალურ კავშირის კულტურულ განყოფილებაზე გადაცემის შესახებ. ეკლესიის დაკეტვამ და ანტირელიგიოზურმა კამპანიამ სოფლებში გამოიწვია ერთი გაუგებრობა. მღვდლები და მენშევიკები დაძრწოდენ გლეხობაში და ავრცელებდენ ხმებს: აი, ჩვენ ხომ გეუბნებოდთ კომუნისტებს და საბჭოთა მთავრობას ქრისტიანობის მოსპობა სურთ და ებრაელობის შემოღება, თორემ რისთვის ჩვენ გვაკეტინებენ ეკლესიებს და ებრაელებს არაო? მართლაც ბევრ შეუგნებელ გლეხობაში ამ პროვოკაციამ ცოტაოდენი ეჭვები დაბადა.

მაგრამ ამ ერთი კვირის წინ გამართულმა მიტინგმა ქალაქ სურამში დაარწმუნა გლეხობა და ლაგამი ამოსდო პირში პროვოკატორებს, სადაც როგორც მოხუცებულებმა, ისე ახალგაზრდებმა ერთხმად გამოიტანეს დადგენილება დახურულიყო ეკლესია სამლოცველო და გადასცემოდა სახლი კომკავშირს, სადაც იმ დღესვე გახსნილი იქნა კლუბი. დასავლეთ საქართველოს არც ხაშურის რაიონი ჩამორჩა. ა.წ. 6 აპრილს გამართულმა მიტინგმა ქალაქ ხაშურში და მის ახლო სოფლებში მცხოვრებლების დიდ უმრავლესობამ გამოიტანა შესაფერი რეზოლუცია.

აგრეთვე ხცისის თემში თანახმად სოფლის გლეხობის დადგენილებისა დაიხურა რამოდენიმე ეკლესია.

ეხლა ხაშურის რაიონში დახურულია შემდეგი ეკლესიები: ხაშურში ოთხი, ჭალაში ერთი, ხცისში ერთი, წრომში ერთი, ახალსოფელში ერთი, შლუყურში ერთი, ქვიშხეთში ერთი, ტეზერში ერთი, ქალაქ სურამში ერთი, სოფ. ლუბრუმაში ერთი, სულ 13 ეკლესია. მაგრამ საქმე მარტო ეკლესიების დაკეტვაში როდია, საჭიროა რასაც ვეუბნებით ჩვენ გლეხობას, ის მიეცეთ. დაკეტილ ეკლესიებში ჩვენ უნდა გავხსნათ თეატრები, კლუბები, სამკითხველოები და სკოლები. ეს გვესმის ხაშურელ ამხანაგებს და უკვე მიღებულია ზომები ამის სისრულეში მოსაყვანად“.

გორის მაზრის აღმასკომის 1923 წლის 17 მაისის მიმართვაზე, ისტორიკოსი ს. ჯანაშია 11 ივნისს წერდა იმ ძეგლებზე, რომლებიც გამოირჩეოდნენ ,,... მაღალი ისტორიული მნიშვნელობით“ და მათი რაიმე გარეშე მიზნებისათვის გამოყენება დაუშვებლად მიაჩნდა. ხაშურის რაიონიდან წერილში სახელდებოდა გომის თემში - ვაყის გრიგორიანთა და ნაბახტევის ეკლესიები. სურამის თემში - იტრია, ხცისის თემში - წრომი და ხაშურის თემში ჭალის ეკლესია (საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იანი წლები), დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ.2013, გვ.466).

1923 წლის 25 ივლისს გორის სამაზრო აღმასკომის შინამმართველობის განყოფილების გამგის ს. ცხოვრებაშვილისა და საორგანიზაციო ქვეგანყოფილების გამგის ირ. ყანჩაველის ხელმოწერით სათემო აღმასკომებში დაიგზავნა მიწერილობები, რომლითაც ითხოვდნენ ,,ფრიად სასწრაფოდ“ ეცნობებინათ ,,რომელ თემში და სოფლებში დარჩა კიდევ დაუხურავი ეკლესიები.

29 ივლისს ხაშურის თემის აღმასკომის თავმჯდომარე ს. შარაბაშვილი გორის მაზრის შინამმართველობის განყოფილების გამგეს აუწყებდა: ,,თქვენს მოწერილობაზე... გაცნობებთ, რომ ჩემდამი რწმუნებულ თემის ყველა სოფლებში დახურულია ეკლესიები“.

30 ივლისს სურამის თემის აღმასკომი გორის სამაზრო აღმასკომს წერს: ,,პასუხად თქვენი მოწერილობისა... გაცნობებთ, რომ ჩემდამი თემის ფარგლებში არცერთ სოფელში დაუხურავი ეკლესია არ დარჩენილა და ყველა დაკეტილია“

. 1 აგვისტოს გომის თემის აღმასკომის თავმჯდომარე პ. ხეთაგური აუწყებდა სამაზრო კომიტეტს: ,,თანახმად თქვენი მოწერილობისა... გაცნობებთ, რომ ჩვენ თემში ყველა ეკლესიები დახურულია“..

10 აგვისტოს ხცისის თემიდან გაგზავნილ წერილში ნათქვამია: თანახმად თქვენი ა.წ. 25 ივლისის მოწერილობის (#5337), გაცნობებთ, ხცისის თემში არც ერთი ეკლესია არ არის დაუხურავი“.

როგორც ვხედავთ, 1923 წლის ივლის-აგვისტოს მიჯნაზე ხაშურის რაიონში ყველა ეკლესია დაკეტილია.

1923 წელს გორის მაზრის ეკლესიების სიაში, სადაც მორწმუნეებს წირვა-ლოცვის უფლება ჰქონდათ, ხაშურის რაიონიდან არცერთი ეკლესია არ არის შეტანილი, - არც მართლმადიდებლური და არც სომხურ-გრიგორიანული. შეტანილია მხოლოდ სურამის ებრაელთა რელიგიურ საზოგადოების სალოცავი (საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იანი წლები), დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ.2013, გვ.203).

ეკლესიების დახურვის პარალელურად მიმდინარეობდა ეკლესიების ქონების აღწერა. საეკლესიო ნივთები სათემო ცენტრებში გროვდებოდა და ხდებოდა სიების შედგენა. ხაშურის მუნიციპალიტეტში შემდეგი ეკლესიების ქონების აღწერა მოხდა:

ხაშურის თემი: იოანე ნათლიმცემლის ეკლესია, ზემო ჭალის წმ. ნიკოლოზის ეკლესია, ოსიაურის წმ. გიორგის ეკლესია, აქვე სომხური ღვთისმშობლის ეკლესია, ლუბრუმის ღვთისმშობლის ეკლესია.

ხცისის თემი: ხცისის ეკლესია, შვლისყურის, წრომის, ქაშუეთის, ახალსოფლის ეკლესიები.

საციხურის თემი: წაღვლისა და ბროლოსნის ეკლესიები

გომის თემი: ნაბახტევი, ვაყის მიძინების ეკლესია, სატივის ივანე მახარებლის ეკლესია, ალის ეკლესია.

სურამის თემი: სურამის, იტრიის, ტეზრის, ბეკმის, ურთხვის, ქემფრისა და ცოცხნარის ეკლესიები.

მოგროვილ ნივთებში ისტორიისა და ხელოვნების არაერთი საინტერესო ნივთი იყო. ეს იყო იტრიის ეკლესიის ორი ხატი, ხცისიდან მხედრული ხელნაწერი სახარება და სხვა.

1923 წლის 30 ნოემბერს გორის სამაზრო აღმასკომიდან ადგილებზე დაიგზავნა წერილები დახურული ეკლესიებისა და იქ მოსამსახურე მღვდლების სიების გადაგზავნის შესახებ. ხაშურის თემში ამ დროს დაკეტილია 22 ეკლესია, ხოლო გომის თემში 7.

ეკლესიის მიმართ ქვეყანაში გატარებული ასეთი პოლიტიკის ფონზე, გასაკვირი არ არის, რომ პეტრე კაპანაძემ, რომელიც რკინიგზის ეკლესიაში მსახურებდა, ანაფორა გაეხადა და თავისი საქმიანობა მთლიანად სახალხო განათლებისთვის დაეკავშირება.

მის ამ ნაბიჯს კარგად შეხვდა ხელისუფლება და ცდილობს თავისი მიზნებისათვის გამოიყენოს.

ეს პეროიდი საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა პეტრესათვის და მისის ოჯახისათვის. ამიტომ იგი იძულებულია თხოვნით მიმართოს ადგილობრივ ხელისუფლებას ერთდროული დახმარების სესხის სახით მიცემის თაობაზე.

1923 წლის 16 იანვარს აღმასკომს განუხილავს პ. კაპანაძის თხოვნა და დაუდგენია: ,,ვინაიდან მოქალაქე პეტრე კაპანაძემ გაიხადა ანაფორა, რაიც მნიშვნელოვანია და მასთან, როგორც თვითონ, აგრევე მისი ოჯახი განიცდის უსასტიკეს, ეკონომიური მხრივ სიღარიბეს, ამიტომ მიეცეს... დახმარება სესხის სახით ათი მილიონი (10.000.000) მანეთი კომუნალური განყოფილების სალაროდან”.

1923 წლის 22 სექტემბერს აღმასკომი კვლავ მიუბრუნდა პეტრე კაპანაძისათვის გაცემული სესხის საკითხს აღმასკომის დღის წესრიგში განსახილველ საკითხად მითითებულია ,,პეტრე კაპანაძის განცხადება, რომ 10 მილიონი მის მიერ წაღებული სესხის სახით განყოფილებიდან ანაფორის გახდის დროს ეპატიოს.”

აღმასკომის დადგენილებაში აღნიშნულია: ,,სესხის სახით მიცემული ფული კომ-განყოფილებიდან კაპანაძეზე ანაფორის გახდის დროს 10 მილიონი მანეთი გადატანილ იქმნას მიცემული ჯილდოს სახით და გადახდევინებიდან განთავისუფლებული”.

ანაფორა გაიხადა იტრიის ეკლესიის მღვდელმა შაქრო ხვადაგაძემ და სახშემოსავლების რიგით ბუღალტრად დაიწყო მუშაობა. შაქრო პეტრე კაპანაძის თანაკურსელი იყო, ორივე კი იოსებ ჯუღაშვილის. ,,ახლა ჩემი წარსული უნდა მოგითხრო მოკლეთ, - წერდა იგი თავის სემინარიელ მეგობარსა და თანაკურსელს მიხეილ ელიზბარაშვილს თელავში, მოგვიანებით, 1938 წლის 4 აპრილს, - 1900 – 1917 წლები სოფელში გავატარე, ძლიან კარგ სოფელში ვიყავი და ბევრი რამეც გავაკეთე განათლების დარგში. სამაგალითო სკოლა მქონდა სოფ. ავლევში. 1917 წელს გადმოვედი სურამში. აქ საგადასახადო ინსპექტორათ იყი სამსონ ტოროშელიძე. იმის კანცელარიაში დავიწყე მუშაობა 1918 წელში. თავისუფალ დროს ვმუშაობდი და თან მრევლსაც ვემსახურებოდი, ასე გაგრძელდა 1921 წლამდე. ამ წელში ჩამოვშორდი სავსებით სასულიერო უწყებას და ბუხჰალტრის თანამდებობაზე ვმუშაობდი“.

შაქრო ხვადაგაძე მ. ელიზბარაშვილს სხვა საინტერესო ინფორმაციასაც აწვდის: ,,ჩვენი ამხანაგები აქ ბევრი არავინ არის. პეტრე კაპანაძე არის. კარგად ცხოვრობს. სოსომ ძალიან დახმარება გაუწია ფულით და უმეტესათ კი ისე ასწია იმისი ავტორიტეტი, რომ ახლა ყველა ანგარიშს უწევს. ბერიასთან ისე შედის, როგორც საკუთარ სახლში. თბილისში ბინა მისცეს, მაგრამ თითონ არ წავიდა, შვილს დაუთმო თბილისის ბინა. აქ, ხაშურში არის კიდევ მასწავლებლათ მიხა ფანჯიკაძე, თუ გახსოვს ის მეორე განყოფილებაში იყო“.

შაქრო ხვადაგაძეს პეტრე კაპანაძის მსგავსად, როგორც ჩანს, ოციანი წლების რეპრესიები არ შეხებია, რადგან ,,მოასწრო“ ანაფორის გახდა და ხელისუფლებასთან კონფრონტაციაში არ შევიდა.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა, ნინო ლიპარტელიანის თავმჯდომარეობით.

საკრებულო დაეთანხმა წარმოდგენილ პროექტებს:

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტსა და ასიგნებებით გათვალისწინებულ გეგმაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელზეც დეტალური მოხსენებით გამოვიდა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი ლელა მაჭარაშვილი. ყურადღება გაამახვილა ბავშვთა დაცვის ახალ პროგრამაზე, რომელზეც საკრებულოს წევრთა კითხვებს უპასუხა მერიის ბავშვთა დაცვის კოორდინატორმა მარიამ დოლიძემ.

საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს, აგრეთვე, პროექტებს:

„ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით 126 კვ.მ მიწის ნაკვეთის გადაცემის შესახებ;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა “TOYOTA

LANDCRUISER 3.0 TD” სახელმწიფო ნომრით VI - 030 -VV ა(ა)ი „ხაშურსერვისს“ (ს/კ 443856908) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ მერიის სამსახურების ხელმძღვანელები.

სახელმწიფო რწმუნებულმა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა ლევან ხარაბაძემ რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერებთან და საკრებულოს თავმჯდომარეებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა. შეკრებილებმა მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობა განიხილეს, ასევე, იმსჯელეს რეგიონში დაგეგმილ პროექტებსა და ღონისძებების შესახებ. გარდა ამისა, შეხვედრაზე საუბარი შეეხო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებსაც, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე მიმდინარეობს.

როგორც შეხვედრისას ლევან ხარაბაძემ აღნიშნა, მუნიციაპტეტების პირველ პირებთან მსგავსი ტიპის სამუშაო შეხვედრები ხელს უწყობს კოორდინირებულ და ეფექტურ მუშაობას.

მ ო ქ ა ლ ა ქ ე თ ა ს ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო დ !

ბოლო პერიოდში, საჯარო შეხვედრებსა თუ სოციალური ქსელის მეშვეობით ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას არაერთმა მოქალაქემ მომართა შეკითხვით, რაც უკავშირდება ქალაქში წყლისა და

წყალარინების პროექტის მიმდინარეობას. კერძოდ, მოქალაქეთა ნაწილი გამოთქვამს შეშფოთებას, რომ წყალარინების (საკანალიზაციო) ქსელის მოწყობა შეეხება მხოლოდ ქალაქის ცენტრალურ ნაწილს და დანარჩენი უბნები საკანალიზაციო ქსელის გარეშე დარჩება.

გაურკვევლობის თავიდან ასარიდებლად, გვსურს, მოსახლეობას მივაწოდოთ ინფორმაცია, რომ პროექტის მასშტაბურობიდან გამომდინარე, იგი დაყოფილია რამდენიმე ლოტად. პირველ ეტაპზე წყალმომარაგების ქსელი გაკეთდება ყველგან, ხოლო წყალარინების ქსელის მოეწყობა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. შემდეგი ლოტებით გათვალისწინებულია სათავე ნაგებობის აგება და წყალარინების ქსელის მოწყობა ქალაქის დანარჩენ უბნებში. აღნიშნული სამუშაოებისთვის საჭირო გახდა თანხის დამატება, თუმცა ეს სახსრები მოძიებულია. პროექტის განხორციელებას არავითარი საფრთხე არ ემუქრება და წყალარინება მოიცავს ქალაქის ყველა ქუჩას.

ამასთან, ჩვენთან საუბრისას, მოქალაქეები აღნიშნავენ, რომ ინფორმაცია მიიღეს უშუალოდ პროექტში ჩართული პირებისგან - მუშებისგან ან ზედამხედველებისგან.

განვმარტავთ, რომ სამუშაოებში ჩართული პირები პასუხისმგებლები არიან მხოლოდ სამუშაოს იმ ნაწილის შესრულებაზე, რაზეც მათ პასუხისმგებლობა აქვთ აღებული კონტრაქტის მიხედვით, რაც არ ნიშნავს, რომ მათთან კონტრაქტის დასრულების შემდეგ სამუშაოები შეწყდება. თითოეული ლოტით გათვალისწინებულ სამუშაოებზე ტენდერი ცხადდება განცალკევებულად, სადაც გამარჯვებული შესაძლოა აღმოჩნდეს ის კომპანია, რომელიც ახლაც ახორციელებს სამუშაოებს, ან რომელიმე სხვა კომპანია. სამუშაოების მიმდინარეობა ამით არ შეფერხდება.

მუნიციპალიტეტის მერია მჭიდრო კომუნიკაციაშია პროექტის განმახორციელებელ გუნდთან და სისტემატურად მოგაწვდით ინფორმაციას პროექტის მიმდინარეობის შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერია

ძვირფასო მოქალაქეებო!

მუნიციპალიტეტს არაერთი მოქალაქე მომართავს მიუსაფარ ცხოველებთან დაკავშირებული სხვადასხვა შეკითხვით თუ თხოვნით.

გაცნობებთ, რომ მიუსაფარი ცხოველების მართვა განეკუთვნება მიუსაფარი ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს კომპეტენციას.

გიზიარებთ სააგენტოს ფეისბუქის გვერდს, სადაც მოცემულია საკონტაქტო ტელეფონი: +995 595 33 55 08 და ელფოსტა: shidaqartlidogs@gmail.com

ორგანიზაცია „ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის“ ახალი პროექტის განხორციელებას იწყებს

ორგანიზაცია “ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის” მეორე წელია,აქტიურად ჩაება ხაშურის ახალგაზრდობის განვითარების საქმეში. როგორც ორგანიზაციის დამფუძნებელმა, გიორგი მაჭარაშვილმა აღნიშნა, გასული წელი, დატვირთული იყო მნიშვნელოვანი ტრენინგებით, სესიებით და სხვადასხვა აქტივობებით, რომელიც საკმარისი მიზეზი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ორგანიზაცია დღემ-

დე საინტერესო ადგილად რჩება ხაშურელი ახალგაზრდობისთვის. წელსაც, ორგანიზაციამ, 50 000 ლარიანი გრანტი აიღო და უკვე გაწერილია ის მნიშვნელოვანი აქტივობები და საჭიროებები, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში უნდა განხორციელდეს.

გიორგი მაჭარაშვილი, ორგანიზაცია “ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის” დამფუძნებელი:

-ჩვენი ორგანიზაცია, როგორც მოგეხსენებათ, ორი წლის წინ დაფუძნდა, პირველი პროექტი, რომელიც ჩვენ მოვიგეთ, შვიდთვიანი იყო და ჩახურვის შემდეგ, ახლადშექმნილი ახალგაზრდული ორგანიზაცია დაგვრჩა შედეგად, თავისი წევრებით, მმართველობითი ორგანოთი და თანამედროვე ახალგაზრდული სივრცით. თუმცა, ჩვენი ორგანიზაცია, დიდი გამოწვევების წინაშე იდგა, ახალი გრანტის მოგებამდე. არ გქონდა დაფინანსება. ჩვენი ორგანიზაცია, თავიდან ბოლომდე მოხალისეობრივად აკეთებდა ყველა აქტივობას, ვცდილობდით, მოგვეძიებინა და ჩამოგვეყვანა საინტერესო და პროფესიონალი ტრენერები.

<u>-ახალგაზრდების ჩართულობა როგორია, ხომ არ იკლო ინტერესმა?</u>

პირიქით, დღემდე ძალიან ჩართულები არიან ყველა აქტივობაში. ვცდილობთ, ახალგაზრდებთან შეთანხმებით და მათი ინტერესების გათვალისწინებით დავგეგმოთ ყველა აქტივობა. იყო როგორც შემეცნებითი, ასევე გასართობი აქტივობები. საახალწლო წვეულება ბოლომდე ბავშვების ინიციატივა იყო. ზუსტად ეს გვაძლევდა ყველაზე დიდ სტიმულს, რომ არ გავჩერებულიყავით. ზამთარში, სიცივეში, ბევრი მნიშვნელოვანი შეხვედრა თუ აქტივობა დავგეგმეთ. როცა ხელმძღვანელი ხედავ, როგორ აქტიურობენ ახალგაზრდები, შენც დიდი სტიმული გეძლევა.

<u>-სასიხარულო ამბავი გაქვთ, ორგანიზაციამ საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა...</u>

-ერთი წლის შემდეგ, ჩვენმა ორგანიზაციამ, გაიმარჯვა სსიპ-ახალგაზრდობის სააგენტოს, 2024 წელს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში,რომელიც ემსახურება ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობას. პროექტის ფარგლებში(“ხაშურის ახალგაზრდული სივრცის განვითარება ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელებისა და არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით”), ხაშურის ახალგზრდულ სივრცეში მოეწყობა სხვადასხვა კუთხეები, როგორც საკონფერენციო და შემეცნებითი, ასევე, გასართობი და რეკრეაციული თვალსაზრისით., რაც მთლიანობაში, კიდევ უფრო კომფორტულს და მიმზიდველს გახდის აღნიშნულ სივრცეს მოსარგებლეთათვის, ასევე, პროექტის ფარგლებში, მოხდება დამატებითი ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა.

რაც შეეხება პროექტის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს, არაფორმალურ განათლებას, ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 14-29 წლის ახალგაზრდებს, საშუალება ექნებათ, 6 თვის განმავლობაში, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობებში, ტრენინგები, სემინარები, “ვორქშოპები”, პრაქტიკული გასვლითი აქტივობები და გასართობი ტიპის ღონისძიებები. ვფიქრობთ, ახალგაზრდებს დავეხმაროთ პროფესიული არჩევნის გაკეთებაში, ახლოს ვაჩვენებთ იმ სფეროს, რომლის არჩევასაც აპირებენ სამომავლოდ. გაგრძელდება ყველა ის აქტივობა, რომელიც აქამდე გვქონია. არამარტო საგანმანათლებლო, არამედ გასართობი აქტივობებიც იყოს, რასაც მოკლებულია რეალურად ჩვენი ქალაქის ახალგაზრდა ნაწილი.

პროექტის ბიუჯეტი განსაზღრულია 50.000 ლარით.

<u>-გარდა თქვენთ ორგანიზაციაში ჩართული ახალგაზრდების, სხვებსაც თუ აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ თქვენი სივრცით?</u>

-რასაკვირველია და არაერთხელ ყოფილა ასეთი შემთხვევა. ნებისმიერ ახალგაზრდას შეუძლია, გამოიყენის ჩვენი სივრცე, რომლის ერთ-ერთი დანიშნულებაც რეალურად ეგაა. ჩვენ არ ვართ აქცენტირებულები, მხოლოდ ჩვენი ორგანიზაციის წევრ ახალგაზრდებზე. უბრალოდ, ერთი მომენტია, როდესაც სივრცეების განაწილება მოხდება, დიდი მასშტაბის ღონისძიებებს ვეღარ ვუმასპინძლებთ.

<u>-უახლოესი გეგმები, ახალი გრანტის დამტკიცების შემდეგ რა იქნება?</u>

-ჩანიშნული ტრენინგი, რომელიც ჯერ კიდევ შეთანხმების თემაა ახალგაზრდებთან. მეორე აქტივობას რაც შეეხება, გვინდა, პარლამენტში წავიყვანოთ ახალგაზრდები, ეს არ უნდა იყოს მხოლოდ საექსკურსიო გასვლა, დაესწრებიან სხდომებს, შეხვდებიან პოლიტიკოსებს.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო მუნიციპალიტეტის ჩართულობა და მხარდაჭერა. ორივე პროექტზე ოფიციალური მხარდამჭერი წერილი დაგვირთო, რაც ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. გარდა ამის, მერიამ უნდა მოგვიწესრიგოს გათბობა-გაგრილების სისტემა და რაც მნიშვნელოვანია, კომუნალური გადახდის პრობლემაც გადაჭრა. ასევე, აღსანიშნავია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხარდაჭერა. ჩვენმა ორგანიზაციამ, თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა კოლეჯ “ქართლთან”, ასე, რომ, ჩვენს ახალგაზრდობას წინ საინტერესო აქტივობები ელის. ჩვენ ვაგრძელებთ თანამშრომლობას, როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

თ. ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.